გ. ლომთათიძე

ცხრათბითი თვლა

და მისი

ნარმოებები საფუძველი

ტფილისი—1929

გ. ლომთათიძე

ცხრათბითი თვლა

და მისი

ნარმოშობი საფუძველი

30404

ტფილისი—1929

ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა, ლენინის ქუჩა, № 3.

მთავლიტი 989. შეკვეთა 1155. ტირაჟი 2000

ცხრაობითი თვლის სისტემის წარმომშობი საფუძველი

(წაკითხული მოხსენებად საქ. საისტ. და საეთნ. საზ-ის სხდომაზე 1929 წ. 1 თებერვალს).

ძველად ყველა ხალხში გავრცელებული იყო ე. წ. **ცხრაობითი** თვლის სისტემა. სათვალავის ამ სისტემას ხალხი ხმაროობდა როგორც სიტყვიერებაში, აგრეთვე პრაქტიკულ ცხოვრებაშიაც (ვაჭრობა აღებ-მიცემობაში). ძველად ეს სისტემა ყველა კულტურულ ხალხსა ჰქონია.

ქართველები, როგორც ძველადგანვე ცნობილი კულტუროსანი ერი, ხმაროობდენ აგრეთვე ამ სისტემას. ამისი აუარებელი საბუთები მოიპოვება როგორც ჩვენს სიტყვიერებაში, აგრეთვე პრაქტიკულ ცხოვრებაშიაც*).

ამ სათვალავს საქართველოში ოფიციალურად უარსებნია მე-XVIII საუკუნემდე. მე-XVIII საუკუნეში საქართველოში ევროპიდან რუსეთის გზით შემოდის ე. წ. „დეციმალი“ და იგი იჭერს „**ცხრის**“ ალაგს.

ჩვენი მიზანია გამოვიკვლიოთ ამ სათვალავის წარმომშობი საფუძველი. მაგრამ სანამ ამას შევუდგებოდეთ, საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ზოგიერთ ნიმუშებს ჩვენ მიერ შეკრებილი ხალხური სიტყვიერებიდან.

---

*) იხ. „დავთარი ქუთათისის საყდრის გამოსავალი ბეგრისა“. საქ. საისტ. და საეთნ. საზ-ის წიგნთ საცავი № 626.

გურიის მასალები.

იგი კაცი რა კაცია, **ცხრაი** ხელი რომ აცვია?
(სიმინდის ტარო).

„პეტრე არის დიდებული, ჩიჩვირჩამოკიდებული,
ცხრაი კეცი ჭადი უნდა ერთქამეტზე მიდებული“.

რა-თა-თა-რი, რა-თა-თა-რი.
ერთი გურჯი*)—**ცხრა** თათარი.

გურიაში ისმის ასეთი გამოთქმები: „**ცხრარჯულე**“=უნდო, მატყუარა; „**ცხრაჯელ მონათლული**“=მეტად სათნო და პატიოსანი. საბედითო ამბის, ან სიტყვის გაგონებაზე იტყვიან: „ჯვარი აქოურობას!.. აქანე ყორიფელი კაი!.. **ცხრა ფთას იქით**!.. ოქროს საყვირი!“ **)

იქვე ჯანჯუხას **ცხრაოზბით** ჰკრავენ და ითვლიან: „წროულს დავაკეთე **ხუთი ცხრა** წიწიპოჲს ჯანჯუხა, **შვიდი ცხრა** ნიგვზის ჯანჯუხა, **ექვსი ცხრა**—თხილის, **რვაჲ ცხრა**—ვაშლის, **ათი ცხრა**—სხალის ჯანჯუხა“. „ჩემ სიძეს **სამი ცხრა** ჯანჯუხა მივართვი“. „ნათრულმა **ოთხი ცხრა** ჯანჯუხა მიფეშქეშაო“.

გურიაშივე იციან ე. წ. **ცხრამარტობა. ცხრამარტობას** გაუშვებენ ცხენს ნედლ ბალახზე და დააბამენ ხმელზე მხოლოდ ნოემბერში. ასე რომ, ცხენს ნედლი ბალახი უწევს **ცხრა თვის** განმავლობაში.

ცარამარტობას გურულის აზრით კაცმა უნდა **ცხრა**

---

*) რუსეთ-ოსმალეთის ომამდე ეს ლექსი ამ სახით იმღერებოდა, მაგრამ ბათომის აღების შემდეგ „გურჯი“ შეიცვალა „რუსი“-თ.

**) ქვემო იმერეთშნ იტყვიან: „ოქროს საყურე“:

დარგოს, **ცხრა** დამყნოს, **ცხრა** დაამაგინოს, **ცხრა** გადახტეს, **ცხრა** დალიოს, **ცხრა** შესჭამოს, თუ შეყვარებულია—**ცხრა** აკოცოს.

იქვე არის გადმოცემა: **ცხრამარტოობას ცხრა მტკაველი** თოვლი მოვიდაო. დილას შიგ ჭოკი დაარჭვეს და საღამოს წაიქცაო.

სამეგრელოში წურბლით სისხლის გაღება **ცხრა მარტოობას** იციან.

ხევსურული მასალები.

ცხრანი ვირს ეხვეოდნენ და „ვაი ჩვენს უკაცურობასაო!“

ტიტველიო **ცხრათ** ცვარცვიანო და ვერ გაცვარცვესო!

ძმათა დავღნატრი ბევრათა:
მზე **ცხრაკნით** ამოუხდებაო... და სხვა.

როშკის გორ შუშპრობს ღილღველი:
„ხევსურნი მინდან **ცხრანიო**“.
თინიბეგს გაულესავის
ღერენაიშვილს ხმალიო“... და სხვა

...კამატურას გორ წამოდგეს ძიმაის ძენი **ცხრანიო**.
კვათეს ჩაყარეს ისარი რო დილა ცამა ნამიო... და სხვა.

ქალმა თქმა თამარ ნეფემა: „ქართველთა ვერრა გავიგე:
ზღვას იქით ნემსად გაუელ, საბალახეებ ავიღე;
შუა ზღვას ჩავდგი სამანი, ხმელეთი ჩემკე დავიგდე.
ამდვენი საქმის მოქმედმან **ცხრა ადლი** ტილო წავიღე“.

გაიგეს არხოტივნებმა, მუხლებს შაუჯდა ქარია...
ცხრანი სახარეს წავიდეს, ვინც კაი მეომარია... და სხვა.
ომობენ ხახიკაურნი პირშიშველანი ყმანია,
ძაღლიკას ჩამოხვევიან ხახიკაურსა **ცხრანია**... და სხვა.

ძაღლმა **ცხრა** ჯალაფი ინატრა და ციცამ ერთი ბეზერიო.

ქართლის მასალები.

დილით მზე ხარ მოღრუბლული, ელვა-ჭექა შენზედ ვნახე.
ცხრა საათი ღამე იყო, რთვილს აგდებდა—მაშინ გნახე.
ან ეს უნა გამოიცნო, ან საღვინით ღვინო ნახე.
=(ცისკარი).

სამი წვეთი სისხლი ვიყა
მამის ხელში დაფარული, მდგნარი მე.
დედამ სტუმრად მიმიწვია,
მასთან დავრჩი:
ცხრა თვე, ცხრა ნიმუტი, ცხრა წუთი.
რომ გავიდა
ცხრა თვე, ცხრა ნიმუტი, ცხრა წუთი,—
დავჰტრიალდი, შობელს ვატკინე გვამია.

ზემოთში ქალი ვითხუე, სახელათ ქვია დაროო,
ცხრა თოჩინე პური შეჭამა, სულ დამინტრია თაროო*).

*) ეს ლექსი იმეორულია.

...შიგა ზის ქალი ეთერი, ყელი მოუღერებია,
ცხრანი მუსნი გვერდს უსხედან, ყველა პირისფა-
რეშია.
ცხრა მაზლი კარებს უდგანან, დალესილი ალმასია...
და სხვა („აბესალომ და ეთერი")

საქართველოს ყველა კუთხეებში ისმიან ასეთი გამოთქმანი: **„ცხრა მთას იქით"**, **„ცხრათვალა მზე"**, **ცხრათავიანი დევი"**, **„ცხრაკლიტული"**, **„ცხრა ტკაველა ძილი"**.

ზემო იმერეთში მელოგინეს ნახვის დროს ძღვნად მიაქვთ **ცხრა პური** და **ცხრა ხაჭაპური**.

უნახავმა ნახაო—ცხრა მთა გადალახაო. *).

მეზღვაურებს შენიშნული აქვთ, რომ ღელვის დროს საშიშია, მხოლოდ **მეცხრე ტალღა**. მათი აზრით ტალღათა სიძლიერე თანდათან იზრდება და **მეცხრე ტალღასთან** იგი აღწევს უმწვერვალესობას. თუ ხომალდი **მეცხრე ტალღას** გადურჩა, ის უზრუნველყოფილია „დალუპვისაგან მეორეჯერ აგორებულ **მეცხრე ტალღამდიო. ცხრის** შემდეგ ტალღა აღარ იზრდებაო. რუსი მეზღვაურები девятый вал-ის ჰიპერბოლად ხმაროობენ „шквал"-ს. („Мы перевернули трон вампира и побороли бурный шквал"). თუ ზღვას მართლა აქვს ამისთანა კანონი, მაშინ ამის შესახებ უნდა ვკითხოთ მთვარეს, რადგან საბუნებისმეტყველო მეცნიერებას შენიშნული აქვს, რომ მთვარეს მართლაც გავლენა აქვს ზღვის ტალღებზე.

პირველყოფილი ადამიანი კმაყოფილდებოდა მხოლოდ იმ ბუნებრივი საშუალებებით, რაც მის განკარგუ-

*) კახური ანდაზაა.

ლებაში იყო, რასაც მისი ცნობიერება მისწვდებოდა, და რომლებიც დაბადებიდან განუყრელად თან ახლდენ მას. ეს საშუალებები იყვნენ ნაწილები ადამიანის სხეულისა, ან და კიდევ ის, რასაც თავის გარშემო ჰხედავდა.

აი ამ საშუალებებიდან დაიწყო ადამიანმა სხვადასხვა საგნებისა და სხეულების გაზომვა. ადამიანს ეს საზომები აღებული აქვს ორი სამყაროსაგან: ა) სამყარო ბიოლოგიური და ბ) სამყარო გარემო ბუნებისა. ორივე ესენი ადამიანს აღებული და შესწავლილი აქვს ერთსა და იმავე დროს. და ეს საზომები ხალხის პრაქტიკაში დღესაც კი ხმარებაშია.

სანიმუშოდ მოვიყვანოთ მაგალითები. *)

საზომები ადამიანის სხეულის ნაწილებისაგან გამომდინარნი. **)

ერთი ფჩხილის ადება

„...მაგრამ მათ ღიმილს და იმათ გრძნობას,
სიხარულს, თუ ფიქრს, მათს მოქმედობას
ფ რ ჩ ხ ი ლ ი ს ო დ ე ნ ი ც აზრი არა აქვს“... და სხვა.

ი. ჭავჭავაძე.

თითის გორება

ორი, სამი, ოთხი თითის დადება

„სოფელში ახალვაჟები თოფიარაღში სხდებოდა,
ბეჭებს ამახსნეს ტყვიანი, თ ი თ ი ა რ დ ა მ ე დ ე ბ ო-
დ ა“... და სხვა.

---

*) სრული ლექსიკონი სალხური საზომებისა ცალკე შრომად გვაქვს დამზადებული.

**) მაგალითები ყოველგან გურულია, მოტოები—საერთო.

ხელის დადება (იგივე ოთხი თითია).

...„ხ ე ლ ი ს დ ა დ ე ბ ა ფერმუმარულს იდებს პირზე“...

(„კუდურ-ხანუმი“ აკაკისა).

ცერიანი ხელის დადება

გოჯა

ციდა

ტკივილა

„ცა მ ტ კ ა ვ ლ ი თ, ც ი დ ი თ ქვეყანა
ნახეთ თუ გაიზომება“!.. და სხვა.

ცხთაი (იგივე ფუტი).

გადამფხრა

კაცის სიმაღლე

აწეული ხელის სიმაღლე

გახტომა

„პურადი კაცი მამაცზე
ს ა მ ი გ ა ხ ტ ო მ ი თ მეტია“.

ერი ცხენის გაჭენება

ხელი

ერთი ხელი გვზითი, ორი ხელი ქვეშაგები, ერთი ხელი დანაჩანგალი.

(ხუთი ხ ე ლ ი ნარდი ვითამაშე. ორი ხ ე ლ ი წავაგე! სამი ხ ე ლ ი მოვიგე).

„იგი კაცი რა კაცია,
ცხრაი ხ ე ლ ი რომ აცვია?“=(სიმ. ტარო).

როგორცა სჩანს, რასაც ჩვენ დროში აღნიშნავს „**ხელი**“, იმას ძველად აღნიშნავდა „**ტანი**“.

„კიდობანი გაჰხსნეს, ჰპოვეს
მუნ აბჯარი **სამი ტანი**“.

(ვეფხის ტყაოსანი)

თავი (ორი **თავი** თევზი. ექვსი **თავი** სიმინდი. წიგნის I, II, IV, VIII **თავი**. ერთი **თავი** შაქარი. ათი **თავი** ხახვი).

კპილი (ოთხი, ხუთი, შვიდი **კბილი** ნიორი).

კვენტა (ერი კვნეტა ჩალა, სიმინდი, შეშა არ მაქო, იტყვიან)

თვალი (ხუთი, ექვსი, ათი **თვალი** სახლი).

კაკალი (ერი **კაკალი** კვერცხი, ორი **კაკალი** ნიგოზი, სამი **კაკალი** ვაშლი, სხალი. „წავხთი **კაკალი** კაცი!“ „**ერიკაკალე** ბაღანე მყავსო“, იტყვიან).

ფხარი

„ლურჯი სუფრა გაუშალა,
იქნებოდა ასი მხარი“...

ზრუგი

„...ერთს ვიწრო ხიდს დაგიდებ და ზედ ერთი მგელი, ერთი თხა და ერთი ზურგი თივა თითო თითოდ გაიტანე“.

„სიბრძნე-სიცრუე“.

სული (ორი **სული** ხეოჯ, ხუთი **სული** ბაღანე).

„ასი სული ცხვარი დაკლა
და ორასი ნიშა ხარი“...

ნაბიჯი (საკანი ჭ. ლომთათიძისა იყო „**შვიდი ნაბიჯი, შვიდი შვიდი**“. ორას ნაბიჯს ხევსურეთში ლაბახი ჰქვიან).

ნეკი

„რაა მისი წამალი?
—ცხრაი ნეკი ნაცარი“

პუწკი (რასაც სამი თითით აიღებენ).

უბე (ერი **უბე** სხალი, თხილი, ვაშლი).

კალთე (ერი **კალთე** ყურძენი, ბალახი, ფურცელი).

ჭაჭვი (ერი ჭაჭვი ლობიე, ლომი, სიმინდი. „**ჭაჭვით** داააქ მუცელიო“, იტყვიან დამშეულზე).

ტორი (ერი ტორი წყალი, სიმინდი, ქვიშა).

ჯილი (ერი **ჯილი** ფხასვი, ქვიშა, ბალახი „**ჯილში** დიეტიადა ბეღელში არა“. (ჭოკი). საფლავის სიღრმეს გურიაში მჯილით ზომავენ. სავალდებულოა **ცხრა მჯილი**.

„ცხრა მჯიღის სიღრმე გავთხარე,
დავასაფლავე ძმანიო.
ტურებმა ვეღარ შეჭამა,
მტერსა დაუფსე თვალიო“... და სხვა.

კლავი (ერი კლავი შეშა, ჩალა, ბალახი).

კოჭამდი (კოჭამდი წყალი, ტალახი, თოლი).

მუხლი (ერ მუხზე მივირბენ და ქე მუალო, იტყვიან: საქმის 1, 2, 3, 5, 10 მუხლი.

მუხლამდი...
წელამდი...
ყელამდი...

„—შვილო ზურაბ, სანამდი?
—ვაჲმე დედავ, **მუხლამდი...**
წელამდი...
ყელამდი...“

ყლანტი (ერი ყლანტი თაფლი, ღვინო, წყალი, არაყი).

ძირი (ორი ძირი ნაძვი, ათი ძირი ვარდი, ოცი ძირი სკაჲ).

„ბახჩაშია გადვიხედე: სამი ძირი პრასა.
სანაქებო პატარძალმა“ ზეთ სუფრაზე...“ და სხვა.

საზომები ადამიანის გარემოსაგან გამომდინარნი.

როდესაც ადამიანს არა ჰქონდა დროს საზომი იარაღი, ის კმაყოფილდებოდა იმ დაკვირვებით, რასაც მას გარემო აწვდიდა.

ბზის ამოსლის ხანი

„...თუშნი და ლეკნი შაიბნენ,
ჩამოტეხნას ღგავ ცისასა.
ომ იქნა მუხაციხესა
დილ ამოსვლასა მზისასა“...

დაბალი სადილობა

სადილობა

„მიმინოსა მწყერი უყვარს, შავარდენსა ნადირობა.
თუ დედასა შვილი უყვარს,—ახლა კია სადილობა“.

მუშის სადილობა

მაღალი სადილობა

„კას ყმას აჭმიე,დედაო, დილასადრიან სადილი:
ან ხმა რამ შამოღვარდების, ან თას გაუა ნადირი.
ცუდსა რად უნდა ჩემ კვალსა მზის დაცხომამდე სადილი“!..

შვადღე

ზამლობა (ზა(რ)მლობა=ზამლობა. რასაც აღმ. საქართველოში ჰქვიან სამხარი, იმას გურიაში უწოდებენ ზარმელ‘ს).

ქათმის დაჟენის დროდ

მოჟამება (იგივე დაბინდება).

დღე და ღამის გაყრა

ვახშმობა

დაბალი ვახშმობა

მაღალი ვახშმობა

დაწოლის დროდ

მიძინილი (ერი მიძინილი, ორი მიძინილი).

შვაღამის ხანი

„...ალვანში თუშიშვილებსა მუქარა მოსდის მტრისაო..:
არ ქნილა შუღამის ხანი, — ბიბინ დგას ლეკებისაო“.

ნაშვაღამევი

„შუაღამე გადავიდა,
ასტყდა, ასტყდა ზარის რეკა“.

მამლის ყივილი

პრველი მამლის ყივილი

მეორე მამლის ყივილი

მამლის ყივილის მოხშირება

„ქალსა ეძახდა დედაი:—ქალო, ქ ა თ მ ე ბ ი ყ ი ვ ი ს ა.
—რა იქნა? რა დაგემართათ, დაზძეხით ჩემის ჭირითა!
ჯ ე რ კ ი ა რ გ ა თ ე ნ ე ბ უ ლ ა, არც მე გავმძღარვარ
ძილითა!“

ან:

„რა ხანია მამოაყინწამ
ი ყ ი ვ ლ ა დ ა გ ა ა თ ე ნ ა“...

გამთენიოს ხანი

„...ადგეს, წავიდეს ხევსურნი, აფორას ლესვენ ხმალსაო.
ხ უ თ შ ა ბ ა თ თ ე ნ ე ბ ა ზ ე დ ა ურ ჯ უ ლ ო გადმოხდა
მთასაო“.., და სხვა.

ადგომის დროდ

ქათმის გაშობის დროდ

ძაღლის იალონი („ამ ძაღლის იალონზე რამ წამოგაგდოო?“ იტყვიან).

კეცის დადმის დროდ და მისთანანი.

ამგვარად, ადამიანს ბუნებრივი საშუალებანი ჰქონდა თვალხილულ საგნებისა, თუ მოვლენათა გაზომვა დაეწყო ჯერ ბიოლოგიური სამყაროდან და მერმე გარემო ბუნების საშუალებით.

დროთგაზომვა კი ადამიანმა შეუფარდა ბუნების მოვლენათა სწორ დაკვირვებას. მაგალითად, ვარდების აყვავების თვეს დაარქვა **ვარდობისთვე**, იმ თვეს, როცა მკიან —**მკათათვე**, იმ თვეს, როცა ღვინო შემოდის—**ღვინობისთვე**, იმ დროს, როცა იძინებენ—**მიძინილი**, იმ დროს, როცა ძაღლები იძინებენ—**ძაღლის იალონი**.*)

რაც შეეხება საქართველოში გავრცელებულს საზომი რიცხვის „**ცხრა**“-ს წარმოშობას, იგი ეკუთვნის მეტად შორეულ წარსულს, მისი საფუძველი ბუნებრივი მოვლე-

*) ძაღლები საზოგადოდ გათენებისას იძინებენ.

ნაა, და მაშასადამე, არ შეიძლება ეკუთვნოდეს ერთ რომელიმე ერს.

ადამიანი, უეჭველია შენიშნავდა, რომ განაყოფიერების დღიდან მოლოგინებამდე დედა იმყოფება ორსულობის ხანაში. ამ ხანას თავისი ზომა აქვს. ადამიანს დიდად აინტერესებდა ჰქონოდა ის გარკვეული საზომი, რითაც ის გაიგებდა—როდის გამოჩნდებოდა ნაყოფი მათი სიყვარულისა; როდის შეემატებოდა ოჯახს ახალი წევრი; როდის ესტუმრებოდა ოჯახს სანუკვარი სტუმარი.

„ერთი სტუმარი მესტუმრა მიზდღემში უსტუმრებელი,
იმფერ სადილი მივართვი,—სუფრაზე დუუდებელი“. *)

ამის გაგება, ამ საზომის გამონახვა არც ისე ძნელი იყო, რომ კაცმა სთქვას.

ადამიანს თავიდანვე შემჩნეული ჰქონდა, რომ სქესობრივად მწიფე ქალს ეწყება თვიური. და რაკი ეს მოვლენა ხალხის აზრით მთვარესთან იყო დაკავშირებული, ამიტომ ხალხი მას უწოდებს **„სამთვარია“-ს.**

ეს ბუნებას წესად დაუდგენია და აკი მას ეძახიან **„დედათ წესს“** ან **„რიგს“**.

განაყოფიერების დღიდან დედას შეუწყდება ხოლმე რიგი და ის აღარ გამოჩნდება ბავშვის შობამდე.

ახალი „სტუმრის“ მოსვლამდე დედა ითვლიდა თვეებს... ორსულობის უკანასკნელ თვეს გურიაში ჰქვია **„თვეში ფეხის ჩადგმა“**. ამ თვეში ფეხის ჩადგმის გაგება

---

*) ბავში და დედის ძუძუ.

) თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ თვიურის პერიოდში ქალის ფიზიკური და ფსიქიური კონსტიტუცია იმყოფება საფრთხილო, აზიზ, სათუო მდგომარეობაში, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ სიტყვები **სა-მთვარ-ია და **ს-ათუო**-ე ერთსადა იმავე ეტიმოლოგიურ გენეზისს აქვემ დებარეებიან.

ყოველ დედას აინტერესებს... და რაკი ძველად თვეები არ იცოდენ, დედა ითვლიდა მთვარეს*) რიგის. შეწყვეტიდან, ე. ი. განაყოფიერებიდან დედა ითვლიდა მთვარეს და ყოველთვის კი გამოუდიოდა ცხრა,—ცხრა მთვარე, ცხრა თუთა.

რამდენად მოსახერხებელია თვეების თვლა მთვარის საშუალებით, ან მთვარის თვლა თვეების მაგივრად, ამის მშვენიერ ილუსტრაციას იძლევა კუნძულ იავაელების ცხოვრებიდან დაწერილი მოთხრობამ ულტატულისა**).

როგორც დავინახეთ, ძველად ადამიანს თვითონ ბუნება აძლევდა საანგარიშო საფუძვლებს... ყოველმა დედამ იცოდა, რომ განაყოფიერების დღიდან მას შეუწყდებოდა თვიური მთელი ორსულობის განმავლობაში. ამავე დროს მისთვის საჭირო იყო იმის გაგება, თუ როდის ჩაადგამდა თვეში ფეხს... დედა ჰხაზავდა, ან ტალიებით***) ითვლიდა განვლილ მთვარეებს და მეცხრე ტალიით ის ტყობილობდა, რომ იყო თვეში ფეხჩამდგარი. მეცხრე ტალია ეუბნებოდა, რომ ახლოვდება დრო, როცა მას ხელში ეყოლება სანუკვარი „სტუმარი“, მისივე მზგავსი არსება, მისი სიცოცხლის გაგრძელება, მოხუცებულობის ჟამს საიმედო დასაყრდენი ყავარჯენი.

---

*) მთვარეს მეგრულად ჰქვიან თუთა. იგივე სიტყვა აღნიშნავს „თვე“-ს. (შეადარეთ ანალოგიური მოვლენა რუსულში: Месяц=მთვარე, Месяц=თვე).

**) იხ. საყმაწვ. ჟურნ. „წითელი სხივი“ 1926 წ. № 5. „საიდი და ადინადა“. თარგმანი პ. მ—ისა,

***) როცა გურულებს კალოდან გოდრით სიმინდი შეაქვთ ნალიაში, ყოველი გოდრის შეტანაზე ცალკე სდებენ თითო სიმინდის ტაროს. კალოს აღების შემდეგ რამდენი ტაროც აღმოჩნდება, მაშასადამე, იმდენი გოდორი სიმინდი შესულა ნალიაში. აი ამ ტაროებს ეტყვიან „ტალია“-ს, ასეა სხვა ჭირნახულის ანგარიშიც.

ბუნების ეს საოცარი მოვლენა მშვენივრად შეუცვნია ჩვენს ხალხს, რასაც ამტკიცებს პოეტურ (!) ფორმაში გამოთქმული მისი ფილოსოფიური შეხედულება:

სამი წვეთი სისხლი ვიყა
მამის ხელში დაფარული, მდგნარი მე.
დედამ სტუმრად მიმიწვია.
მასთან დავრჩი:
ცხრა თვე,
ცხრა ნიმუტი,
ცხრა წუთი.
რომ გავიდა
ცხრა თვე,
ცხრა ნიმუტი,
ცხრა წუთი,
დავჰტრიალდი: შობელს ვატკინე გვამია.

როგორც სჩანს ეს ლექსი—როგორც ლექსი, მეტად კოჭლი და დაფეხვილია. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ მისი გვაინტერესებს არა პოეზიური, არამედ მეცნიერული მხარე.

და ასეა თუ ისე, ყოველივე ზემოდ თქმული, გვგონია—გვაძლევს საშვალებას დავასკვნათ: რიცხვი **ცხრა**, როგორც საანგარიშო ერთეული, აღმოცენებულია იმ საფუძველზე, რომ ძველად დედები ორსულობის ხანას მთვარით ანგარიშობდენ. ხოლო ამ ხანაში თავსდებოდა **ცხრა მთვარე, ცხრა თუთა.**

აქ უნდა წერტილი დასმულიყო, მაგრამ ვფიქრობთ—მთავარ აზრთან დაკავშირებულია ერთი კითხვა. სახელდობრ: რადგან ორსულობის ანაგება მთვარის ბუნებასთან იყო დაკავშირებული, ხალხს აკი მთვარისადმი ლოცვაც შეუქმნია:

„მთვარე ვნახე ნუბაზეო,
გულის გახარებაზეო.
წელი მთელი, გული მთელი,
ხელსაქნარი ხვავრიელი“.

ამ ლოცვას გურიაში აღავლენენ ახალი მთვარისადმი სამჯერ, სამჯერ შეუხტებიან და სამჯერვე შეუწრუწუნებენ. (უკანასკნელი ჩვენის აზრით უნდა იყოს კოცნა მთვარესთან. რაჭველები კი ხელზე იკოცნიან).

გურული ლოცვის სიტყვები **„ხელსაქნარი ხვავრიელი“** რამდენადმე ენათესავება ხევსურულ ადათს. სახელდობრ: მენსტრუაციისა და მშობიარობის დღეებში დედაკაცს ათავსებენ ცალკე ქოხში, რომელსაც **სამრელოს** ეძახიან. იქ ქალები, რაკი სხვა საქმე არაფერი აქვთ, **ხელსაქნაროობენ.**

„შაგენაცვლა თავისა და
საყვარელა ტანასაო!
წინგარდაზე გამოსჩინდი,
მააგელებ დანასაო...
ქალი ვზივარ სამრელოში,
ვაძგრიალებ ტარასაო“.

როდესაც კი ადამიანი პირველყოფილ მდგომარეობას დიდი მანძილით დაშორდა, მან შეჰქმნა დროს თეორიული საზომი, რომელიც ბოლოს გადაიტანა პრაქტიკაში: შეადგინა კალენდარი.

დროთგაზომვის პრაქტიკულმა დამუშავებამ მთვარით ანგარიში თვეობით ანგარიშზე შესცვალა.

ამის შემდეგ ორსულობის ხანას ითვლიან არა **მთვარით**, არამედ **თვით.**

ამის შემდეგ ორსულობის ხანას ანგარიშობენ, არა **ცხრა მთვარით**, არამედ **ცხრა თვით.**

„ცხრა თვეს მუცლით გატარებდი,
[illegible]ით გზობე, ვუით გზარდე“...

მოკლეთ: ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე უშესანიშნავესი მომენტი არის ის დრო, როდესაც ითხზება სიცოცხლე მისი. ამიტომაც არის—უეცარი სიხარულის დროს წამოიძახებენ ხოლმე: „**ვაჲ დაბადებავ!**“ ან: „**ვაჲ გაჩენავ!**“. ანაც მუნათისა და სასოწარკვეთის დროს: „**ჩემი გაჩენა რეჲზა არ დეიქცა!**“ ან წყევლა: „**შენი დაბადება დეიქცა!**“ „**შენი გაჩენა დეიღუპა!**“ სამაჰმადიანო ქვეყნებში გატაცებული ან გაყიდული ქართველი დედები, როცა დაინახავდენ—მათი შვილები საქართველოზე საომრად წამოვიდოდენ, უბიდან ძუძუებს ამოიყრიდენ, ფრჩხილებით იგლეჯდენ და შვილებს სწყევლიდენ: „**რად არ დაიქცა ისი დღე, შენ რომ ჩემს მუცელში ისახებოდიო!**

და ეს დრო—დრო ადამიანის სიცოცხლის შეთხზვისა—მკაცრად განსაზღვრულია **ცხრა თუთათი.** წარმოშობა ადამიანის სიცოცხლისა არც გადასცილდება და არც გადმოსცილდება ცხრა თუთას. ამ განსაზღვრულ დროს ყოველთვის და ყოველგან დედამიწის ყველა ხალხებში **ცხრა ტალია** აჩვენებდა.

და **აი,** ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ აქ არის საფუძველი იმისი, რომ რიცხვი „**ცხრა**“ კაცობრიობას აუღია, როგორც სიმბოლიური სათვალავი ერთეული.

ფასი 20 კაპ.

39
ᲛᲜ 814